N გ-23-04/834
18/04/2023

834-გ-23-04-2-202304181309

მირანდა თეთრაძეს

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია“) შემოსული თქვენი განცხადების, (კომისიაში რეგისტრაციის N შ-23-9/1208, 11.04.2023) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად (მაგალითისთვის იხ. სუს 2010 წლის 5 ივლისის ბს-1278-1240 (კ-08), 2017 წლის 26 სექტემბრის Nბს494-491(კ-17) გადაწყვეტილებები) [საჯარო] ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არსებობს მაშინ, თუ მას გააჩნია მატერიალური ხასიათი და დაცულია საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი ამ სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას. გაცნობებთ, რომ ამ მომენტისათვის კომუნიკაციების კომისიაში არ არის დაცული თქვენ მიერ მოთხოვნილი სახით დამუშავებული ინფორმაცია. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიას არ აქვს თქვენ მიერ მოთხოვნილი excel-ის ფორმატით დახარისხებული 2013-2023 წლებში არჩევნების პერიოდში დაჯარიმებული ან გაფრთხილებული ტელევიზიების შესახებ ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ იმასაც, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) გათვალისწინებულ მთელ რიგ სამართალდარღვევათა საკითხებზე გადაწყვეტილებას არ იღებს კომისია. ამ საკითხებზე კომისია ადგენს სამართალდარღვევის ოქმს, საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წესით და წარუდგენს სასამართლოს და შემდეგ სწორედ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მაუწყებლებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება/არ დაკისრების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქმედი კანონმდებლობითაც, კომუნიკაციების კომისიას არ აქვს ვალდებულება სწორედ ამ სახით დაამუშავოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და გადაწყვეტილებები დაახარისხოს კონკრეტული (მათ შორის, თქვენ მიერ მითითებული) ფორმატის მიხედვით. მოქმედი კანონმდებლობის,

კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, კომუნიკაციების კომისია პროაქტიულად აქვეყნებს თითოეულ გადაწყვეტილებას. თუმცა, ამ გადაწყვეტილებების დახარისხებისა და კატეგორიზაციის ვალდებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ამ პირობებში თითოეული საჯარო ინფორმაციის გაცემისას 10 სამუშაო დღის ვადაში ნებისმიერ პერიოდზე/ნებისმიერი მოთხოვნილი კატეგორიით კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებების დახარისხება და ამ მოცულობის ინფორმაციის დამუშავება გამოიწვევდა არაგონივრულად მაღალ ტვირთს კომუნიკაციების კომისიის საქმიანობაზე და, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, პრაქტიკულად შეუძლებელიც კი ყოფილიყო.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომუნიკაციების კომისიის მიერ ვებგვერდზე (www.comcom.ge) პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია/გადაწყვეტილებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions. ამასთან, კომუნიკაციების კომისიის ანგარიშები და სხვა დოკუმენტები საარჩევნო მედიამონიტორინგის შესახებ განთავსებულია კომუნიკაციების კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://www.comcom.ge/ge/regulation/broadcasting/elections), სადაც მითითებულია 2013-2023 წლებში ჩატარებული არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდებში კომუნიკაციების კომისიის მიერ მაუწყებლების მიმართ სანქციის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები, სადაც ასახულია ზოგადი ინფორმაცია დარღვევის, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებისა და გამოყენებული სანქციის თაობაზე.

ვახტანგ აბაშიძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია